ამერიკის სავაჭრო პალატის სასტიპენდიო პროგრამა ეკონომიკაში

ამერიკის სავაჭრო პალატა აცხადებს 6 თვიან სასტიპენდიო პროგრამას (1 ივლისი – 31 იანვარი – აგვისტოს გამოკლებით). პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სტიპენდიანტებში ცოდნის ამაღლებას საქართველოს ეკონომიკური და ბიზნეს საზოგადოების შესახებ. სტიპენდიანტები ამას შესძლებენ ამერიკის სავაჭრო პალატის ხელშეწყობით და პუბლიკაციების წერით ამერიკის პალატის ყოველთვიურ ჟურნალ Investor.ge–სთვის. სტიპენდიანტებს ჩაუტარდებათ ტრეინინგები წერითი და ბიზნესის ანალიზის უნარების გასაუმჯობესებლად. სტიპენდია შეადგენს თვეში 400 აშშ დოლარს.

რას მიიღებს სტიპენდიანტი?

- ექვს თვიანი სტიპენდია საქართველოს ერთ–ერთი ყველაზე უფრო რესპექტაბელური ბიზნეს ასოციაციიდან თვეში 400 აშშ დოლარის ოდენობით;
- ბიზნეს სექტორის ანალიზისა და ბიზნეს საკითხების კვლევის შესაძლებლობა;
- ინგლისურად წერის უნარების სრულყოფა;
- პროექტების მართვისა გამოცდილება;
- გააცნობიერებს საჯარო პოლიტიკის განვითარების პროცესს და ბიზნესის ურთიერთობას მთავრობასთან.

რა მოეთხოვება სტიპენდიანტს?

- მოკლე სტატიების წერა investor.ge-სთვის;
- მცირე მოცულობის სექტორის ანალიზის განხორციელება და პროექტის განვითარების ხელშეწყობა;
- რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოს მუშაობას პროექტის ფარგლებში. შესაძლებელია პროგრამა მოქნილი იყოს სტუდენტებისთვის, მაგრამ უპირატესობა მიენიჭებათ აპლიკანტებს, რომლებსაც შეუძლიათ პროგრამას სრული სამუშაო დრო დაუთმონ.

მოთხოვნები:

- სტიპენდიანტი უნდა იყოს ქართველი;
- სტიპენდიანტს დამთავრებული უნდა ქონდეს ბაკალავრიატი და ჩართული უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამაში (აბარებდეს მაგისტრატურაში, სწავლობდეს ამჟამად ან ფლობდეს მაგისტრის ხარისხს). პრიორიტეტი ენიჭება ეკონომიკის, ბიზნესის და ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს
- აუცილებელია ინგლისური ენის კარგად ფლობა

- კარგი მათემატიკური უნარები. სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, ექსელში მუშაობის კარგი ცოდნა
- უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებიც არ არიან თბილისის მაცხოვრებლები.

აპლიკაციები უნდა გაიგზავნოს ბელა მაკარიძესთან (b.makaridze@amcham.ge) ა.წ 12 ივნისამდე. სააპლიკაციო დოკუმენტები მოიცავს:

- CV + სამოტივაციო წერილი
- აპლიკანტის მიერ ინგლისურ ენაზე დაწერილი ნაშრომი. მაქსიმუმ 1000 სიტყვა. ნაშრომი შეიძლება იყოს საქართველოს ეკონომიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე, თუმცა ჩვენ გთავაზობთ შემდეგ თემატიკას:
    - რა ჭირდება საქართველოს რომელიმე კონკრეტული სექტორის ზრდისთვის? (შეგიძლიათ აირჩიოთ სექტორი).
    - რა არის ყველაზე დიდი შესაძლებლობა საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად?
    - რა არის ყველაზე დიდი დაბრკოლება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის?